

# ნებისმიერი

ISSN 0132-6015

საქართველო  
ცენტრალური  
კულტურული  
მუზეუმი

No 18 1985

ძარღოვლი ქორწილი



# ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣମାତ୍ରା

ପିଲ୍ଲାଙ୍କ ତ. ପ୍ରାଚୀନ ଶବ୍ଦରେ —  
ଶଖରୀମ ଗାମିଲ୍ଲେଗା, ସାତ୍ରାନ୍ତିକିଣିରୀତି ଶାରୀରିକ  
ଦୂଷଣ୍ଟାରୀତିରୁ ଯୁଦ୍ଧରେ ମିଳିଗୁରା ଦ୍ୱାରା ଶୁରୁଅବ୍ଦି  
ମିଳିଶିଥିଲେ ମିଳିଶିଥିବେ? — ଶୈଳ୍ପିକରା ପାରତୀ-  
ବିନୋଦି, — ଲାକିପ ସାହୀମତିରୀ ମିଳିଦା, ଗା-  
ନ୍ଧୀନାନ୍ଦ ଅମାଙ୍କେପ ଶ୍ରେଣୀ ଅମିଳିବା ଦ୍ୱାରା ଦୂଷଣ୍ଟାରୀତି  
ଯୁଦ୍ଧରେ, ଲାକିପ ଉପଦେସ, ଏବଂ ଶେନ ଦ୍ୱାରା-  
ଦୂଷଣ୍ଟାରୀତି ଅମିଳିବାରୀତିରୁ ମିଳିବେ ନାହିଁବେ!

კერალის კურ გადახნავთ! — თავი გამოიღო გიგი ალაზანილა, — ჭერ ერთ, აქ ითვლია ჩავრერილი და მოსავალი კირ- გი პირი უჩანს. მერეცე, თუ მომინებას, თავგურმომისას და ათხზის აგროგანყო- ფობას აძირო ჩატაროთ!

ଜୀବିତରେ ଯାଏ ପାଇଁ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ

თევა, რომელი ხემართვა?! თვითნებურად  
შეკრისტი, ამხელა ფართობზე საჭირო-  
ნოს ჩითალი დაგირგვეს, გიხარებია, ლამის  
მისაგალიც მოგიყავნია, ჩევნ კი არაფერი  
გაცოდით, ახლაც ვერ გავიგებდით, სხვებს  
რომ არ ეჭიათო!..

— მე რომ აით, ვერაფერსაც ვერ გაი-  
გებდით! — ჩიბურტყუნა თავისთვის ბა-  
ხუსმა, — მე გავაძაურე ეგ საქმე, რომ  
სკირისთვის მეყურებინა!

— საბუთი, ამნანაგო, საბუთი შარმოგ-  
ვიდგინე! ჩევნთან ახეთი წესია: ვისც მა-  
წის ნაკვეთის გაძლიერებას საზოგროს მოსა-  
ვანალ, ხელშეკრულებასც კულტო და გრ-  
კონალ კულტებულებასც ვეკისრებთო! —  
ენდი არი, მეტამ ჩემნირად — შინუ-  
რულად — მორიგებულებიცა გყავთო! —

ପ୍ରୟେକ୍ଟ ଲୁ ଡାକିବା କୁ ଅଳ୍ପଦ୍ଵାରାଲିମ୍ବନ୍ତିରେ...  
— ହୁ ମୋରେ ମୋରେ ଗପିବା କି? ହୁ କିମ୍ବା, ଶେରନଙ୍କ  
ଲୁ ଶେରନିଟାନ୍ତରେଥିବାକି ଖରସାରିଗପିବେଲୁ ତାପର-  
ଫୋମମର୍ଗେ ଲୁ କୁ ସ୍କ୍ରିପ୍ଟରୁକୁଠାରି? — ଶେରପୁରଙ୍ଗେନ୍ତି  
ଜିମ୍ବାରିମର୍ବିଲ୍ ଶେରଗପିବା.

— სხვისა არ ვიცი, მე კი თავმჯდომარისოვის ცენტრალური გათბობა უნდა გამეცემობინა, მასალაც მოვუტანე და ახლაც

მის ეზოში აწყვით! — განაცხადა ალადაშ-  
ვალმა:

— ის ჩემი ეზო კი არა, მეზობლის ეზო  
და მე შენ აღლუვა გითხარი, უკან ყალბე-  
რეფი! — წრბილი კრ შეიხარა ყალბობა-  
რებ (მილები თავმჯდომარის სახლის კი-  
დელთან აწყვია, გათბობის რადიატორები—  
კი ცოტა მოშორებით).

...მსხვმიარე საზამთრო 12 იქნის გადა-  
ინა და ტრაქტორების ხელმეორედ დასაქ-  
მებელი, საწვავის ხარჯვას რომ რამე აზრი  
ჰქონდა, აქმდე საძოვრად მიჩნეულ მიწა-  
ზე სასილოება სიმინდი დაუსესა. მაგ იტუ-  
კან, კაცმა ნაჯახი დაკარგა და წალლიც ზე ა  
მიყოლათ, ზუსტად ასე მოიქცეც ჭერა-  
ნელი ხელმძღვანელები. შეა ზაფხულში  
ურწყვად დათესილ სიმინდს რომ გვალვა

— აქ სხვები არიან ჩემიარები, რათა  
მარტო მის უნდა დაყარებული ჩემი ნაოჭლა-  
რიო! — გულისტყორძობ საჩივრად ჩამო-  
ყოიძა პ. აღარაშვილმა

ნიანგმა მისთვის ჩვეული სიდინჯით  
მოისმინა საჩივარი, დაინტერესდა, სახელ-

მწიფებულებათვის საზომოროს მიყიდვის გაეტანის როგორ ასრულდებოდა ეს კუნძულებით და ზე ცალკეულ ჩანაწერს გააღმენა წითელმეტლინიდან იწყობა: „სამდნალის რაონის სოფელ ჭავანის კოლმეტერნეობას 1985 წელში ბატქეულის ოცვის გეგმა ჰქონდა 19 პ., 1 პა-ჟე უნდა ეწარმოებინა 120 ც-რი, სულ უნდა ეწარმოებინა 228 ტონა, სახელმწიფო მიყიდვის გეგმა ჰქონდა 190 ტონა, ფაქტურად წარმოებულია 126 ტონა, მიყიდვულია სახელმწიფო 117 ტონა“.

თვე დალოცირებო, ანდაზა მაინც არ  
გაგრონდეთ, ლუქმა გამოვარდეს, გამში ჩაგ-  
ვალდესარ! თანა ჯაში ამდენი ადგილი  
გრძნობათ თავისუფალა! — ავეროთ შემოსა-  
ვალში ეგ 1.4 ჰეტერი სახელმწიფოს ბალი და  
გემისა და გის შესრულებაში სსვაობას  
ცოტათ მაინც შემცირებდით! — გუ-  
ლისწყობა კერ დაიყვა ნიანგ გ. ა.

— ეგ რომ გაგვიკეთებინა, გ. ალადაშ-  
ვილი და თ. ფათალიშვილი ერთმანეთს დახო-  
ცავდნენ! — თავი იმართლეს ჭუგაანე-  
ლებბა.


ნიანგმა კედლებში ჩაიკარგა ღიმილი და  
მეორე ბრიგადის ხელშეკრულებებს გადავა-  
ლო თვალი. იქ, გ. ალადაველის მაცხასლა,  
ორი აღმოჩნდა კოლმეურნეობის არაწევრი.  
ორივად ბოლდისხეველი — მექანიზატორი  
შ. ბალ და შ. ვილი და ტუამიტცელი ა. ვ. ვ-  
ლა შ. ვილი პირველს ხელშეკრულებით გა-  
პიროვნებული აქვს 0,80 ჰა საზომორო და  
0,20 ჰა კიტრი და ვალდებულებას კისრუ-  
ლობს, ჩააბაროს კოლმეურნეობას 9,6 ტონა  
საზომორო და 2 ტონა კიტრი. მეორეს გა-  
პიროვნებული აქვს 1,4 ჰა საზომორო და 0,30  
ჰა კიტრი და ვალდებულებას იღებს ჩააბ-  
როს 16,8 ტონა საზომორო და 3 ტონა  
კიტრი.

— ახლა მაჩინენთ, როგორ აუგაზღაუ-  
რეთ შერძა შ. ბალიაშვილისა და ა. გელაშ-  
ვილს, ან მათ როგორი მოსავალი მოიწერს  
და რამდენი საზამთრო და კირი ჩიადა-  
რესება? — მოსტხოვა ნიანგამა აღრიცხვა-  
მუშაკებს. აღრიცხვის მუშაკებმა ბევრი  
ჩერიკეს ქალალდები, იმედიანი შეძაბლება  
ისმოდა, — „ახლავე, ბატონი“, — მარაშ-  
მალე აკვლის უმიმდობა ალებეჭდა სახეზე!  
— კირისა და საზამთროსა რა მოგა-  
სენოთ, მაგრამ მაგ ხელშეკრულებებს უდა-  
რო სხვა რამის სური უდინი! — ჩაილაპა-  
რაკა ის ი ნ გ მ ა, ჰამბეტის მონოლოგა —  
„ყოფნა?.. არ ყოფნა?..“ — წამიტქო და-  
ძახოვის ნიშანითვის შემართა თიწალი.

სიღნაღის რაიონში საკალმახოდ და  
საკალმოსნოდ ნიანგს თან ახლდა  
სპეციალურ სპეციალურ

ელგუჯა გერაბიშვილი

## ଓଲ୍ଲାପତ୍ରିକାପର୍ଯ୍ୟନ୍ତ ଓ ଲାଗୁଇବାରେ



# კაშთა ავხლოების გრიფი



● სიმორვალე ყოველსა კე-  
თილსა დახსნის, კეთილისა წინ  
ბოროტსა აღმოაცენებს.

● გგონესო, რათა სვამთ  
მეტსა ღვინოთა და განმხიარულდე-  
ბიან გული თქვენი. ღვინითა ოდეს-  
ცა მხიარულ ხარ, არათუ სიხარული  
შეხრულ არს ტვინად შენდა, არამედ  
შმაგობა შევალს და სიბრძნე ივლ-  
ტის და სიმაგე იყი განსცხობის  
და იხარებს.

● მიოხერ მე, პოი საყვარელო,  
რა სიხარული შეგძინა შენ სიმორ-  
ვალემან? — სიბრძნე და ჰერა მოვი-  
მატა, სიმშვიდე და სიწყნარე მო-  
გიძვნა, საპატიო ყოფა-ქცევა გახ-  
წავა, ოქრო და ვერცხლი შეგიკრი-  
ბა, ღვინო, პური და ხვასტაგი გან  
გიმრავლნა? რა სასიხარულო გიძლვნა  
ღვინომან, მაჩვენეთ მეცა!

● მეორვალენი არცა თვით  
უყოფენ პატივსა მამა-დედათა და  
არცადა შვილთაგან პატივიცემებიან,

რამეთუ ეკიცხვიან და აყვე-  
დობენ, ჰემობენ და ორნივე  
მცნებათა ღმრთისათა დამ-  
სხნელ იქმნებიან. და სახლ-  
ნი ვახშითა აღვეხებიან, სა-  
უჯენი დაუცარიელდებიან,  
ღვინო და პური მოაკლდე-  
ბისთ და სახლეულნი მში-  
ერნი დაუშთებიან და ეს-  
რეთ საკიცხელ იქმნებიან.

● მეორვალესა კაცსა ყო-  
ველნი ჰემობენ და სიყვარულსა გა-  
ნიშორებენ, სიტყვასა აღარ ურწმუნე-  
ბენ, მმათა და მოყვარეთაგან კი-  
დეიქმნების, დედაწულთაგან სასა-  
ჩივროდ გახდების, ომთა და ბრძო-  
ლათა შინა დაზიანდების, სავაჭროთა  
შინა იავარიქმნების, ღვიძლი განუ-  
სურდების, გონება დაუსუსტდების,  
სიმრთელე გავცლების და გვამთა  
აგებულება სწეულებითა აღევსე-  
ბის, თავის ტკიცილი განუმრავლ-  
დების, თვალთა სიწითლე განუხ-  
შირდების, მხედვარობა და სინათლე  
მოაკლდების, ყური სმენად დაუმ-  
ძიმდებიან, გულთა მფლობელობა  
უსუსურ იქმნებიან, ტვინი დაუთ-  
ხელდებიან და ჰერა და ცნობა და-  
ეფანტებიან, თავი და ხელნი თრთო-  
ლას დაუწყებენ.

● პირველ სიმთრვალისა  
შესავალთა კართა ეწოდების ბრუ-  
ეობა და მაზე მეტსა — ბორვა-  
ლობა. და თუ ვისმე სიმორვალე

გარდაერია, ეწოდება ლექა. და თუ  
სიმორვალე განიადაგდა და მრავალ-  
ება სვა, ღრეული ეწოდება, რამე-  
თუ გაღრევდების დიდხაზ მსმელი  
ღვინისა მიერ.

სულხან-საბა ორბელიანი

● ლვილომ თქვა: ჰერიან კაც-  
თან ბრძენი ვარ, რეგვენთან წამოვჩ-  
ქარდებიო.

● ლვილომ კასრი გახეთქა და  
კაცს რას უზამსო?

● ლვილომ დაუმე გობრდე-  
ბი, ნამუსს დაემშვიდობებიო!

● მოვრალი ემაკის ძმაო.

● ვხიზელს რაც გულში აქვს,  
სიმორვალეში ის ენაზე აკერიაო.


● მოვრალი წაბიძე გება არა  
სჭირდებაო.

● გამარჯობა, არა ყო, მშვი-  
დობით, ჰერა!

● ლროთი კაცის ბედი დღეში  
სამჯერ გაიხსნებაო.


ხალხური

ნახ. ა. ისიანისა






ჩეკა უზის ლილი ზღვარი...



სანჩო-პანსა — დონ კიხოტს: — ჩემო ბატონო, ამას-  
თან შებრძოლებას ნამდვილად არ გირჩევთ!..



— უფროსო, რამე რომ იყოს, გადმოხვალ ჩემთან კასრების საამქროში?!

ჩარელის რაიონის სოფელ მოხისიდან ა. წ. მარტიში „ნიანგს“ მოსწერეს სოცლის შერეული მილაზიის ცუდ მუშაობაზე და გამყიდველ ც. ლუ-  
კაზიის თვითნებობაზე. ონიშნული წერილი სა-  
თანადო რეაგირებისა და ზომების მისაღებად გადა-  
ეგზავნა სახალხო დეპუტატების პაროლის ჩა-  
იონული საბოლოო აღმასკომს, საიდანაც ასეთი  
პასუხი მივიღეთ: „შემოწმებით გამოირკვა, რომ  
სოფელ მოხისის შერეულ მაღაზიაში უურადღე-  
ბა არ ექცეოდა სანიტარული წესების დაცვას,  
ასევე არ იყო დაცული საქონლის განლაგების  
პრინციპები და თვრამეტი დასახლების საქონელს  
არ ედო ფასები. საკონტროლო შემოწმებისას გამ-  
ყიდველმა ც. ლუქუნიძემ შომხარებელს ნაყიდ  
სხვადასხვა სახის საქონელში ნაცვლად 25 მანე-  
თისა და 45 კაპიკისა, გადაახდევინა 26 მანეთი და  
70 კაპიკი, ე. ი. 75 კაპიკით მეტი. აღნიშნული  
დარღვევები პანეილულ იქნება უახლოეს პერი-  
ოდში და გატარდება საჭირო ლონისძიებები“.

როგორ იწა განხილული ონიშნული დარღვე-  
ვები და რა საჭირო ლონისძიებები გატარდა? „ნი-  
ანგმა“ ამის შესახებ, სამწუხაროდ, დღემდე არ-  
ფერი იცის! არ ჯობდა. განეხილათ, გაეტარები-  
ნათ საჭირო ლონისძიებები და ის ეცნობებინათ  
რეაქციისაოვას?

იმედია, სახალხო დეპუტატების ქარელის რაი-  
სტონის აღმასკომი ამ რეპლიკის წაკითხვის შემდეგ  
მინც აცნობებს „ნიანგს“ გატარებული საჭირო ლო-  
ნისძიებების შესახებ!..

ისე კი, ჯერ უნდა გაკეთდეს საქმე და მერე  
დაიწეროს პასუხი!

# კუნძულის განაცხადი

შეცოვის ცხოვრება არის  
გართობა!

„ბირჟაზ“ დგახარ, უსაქმერს უცდი  
და უღვთოდ ულაპავ ახალგაზრდობას!  
(როვორის გენებოს, — გემცხეთოს თუნდა,  
ცხოვრების შენოვის არის გართობა, —  
სხვა არაფერი, — მხოლოდ გართობა!).  
უღმერთოდ გატორს ყოფნა უხაზლადა,  
გიყარს არავით, პლანის დათორობა!..  
გწამდეს, იცოდე, გჯეროდეს, მენდე:  
შენოვის ცხოვრება არის გართობა,—  
სხვა არაფერი, — მხოლოდ გართობა!

ლოთი, უქნარა და ნარკომანი, —  
უნც უღვთოდ ულაპავს  
ახალგაზრდობას, —  
სწორ გზას თუ დროზე არ დაადგება,  
ნურვისგან ელის შველას, დანდობას!



„შიგული“

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკლოდ ჩემი „შიგული“,  
შეირთ და ბოლმით ხინკალივით გასქდეს მტრის ეული:  
გასწი, „შიგული“, შენს „სპილომეტრს“ არ აქვს  
საზღვარი, გამანავარდე შამპანური ღვინით გამძლარი!..

რა ვეყოთ, თუკი ადგილიდან ძლიერდა დაგძარი,  
და, უკანსვლის დროს ჩემს მასპინძელს „კრილო“  
გავკარი! გასწი, დაანთე ჩემს სხევლში სრბოლის ხანძარი!  
არავინ არის დუნიაზე ჩემზე მაგრი!..

შენ არ გეგონოს, მაცვლევინო შიშით ელფერი?!  
რა ვეყოთ, თუკი დავლიე და კიდეც შევთვერი?!  
მე მარტო არ ვარ — საჭეს უნის ბევრი ჩემფერი!  
გასწი, გაფრინდი, ახალ „შიგულ“ როგორც შეპუერის!

მიდი, გარევა, შემიმოკლე, სავალი დღენი!..  
ყურს ნუ დაუგდებ, ინსაექტირო თუ მოგდევს სტვენით.  
ნუ შეჩერდები, დავ, სტვენით აღმოხდეს სული!  
ნუ ემონები მის კაპრიზებს, მის ნება-სურვილს!

ღმერთო, რა სდება?! ცა და მიწა რად დატრიალდა?  
ვაგლახ, „შიგული“ ერთ დიდ სევში გადატრიალდა..  
კაცის მაციერ მანქანას რომ ღვინო მართვდა,  
ესე ამბავი ტრაგიკულად მიტომ დამთავრდა!..

რისთვის გამწირე აგრერიგად, ბედო რიალო?!

რატომ ჩამიკალ ჭაბუკური სულისკვეთება?!

ნახვ ჩემს საფლავს, არაყის და ღვინის ტრუიალო,  
დალევის მაღა სამუდამოდ დაგვეეტება!

ახლაც ვსამამ!..

ვსვამდი ჭიჭით, ვსვამდი ყანწით,  
ზოგჯერ ტიქით ვისი ყელმი!..  
ახლაცა ვსვამ, ოღონდ — წამალ,  
სუფრის კოვზით, სამჯერ დღეში!..

აა განა ღვინომ დამათრო?!

ზე განა ღვინომ დმათრო?  
მე კონიაქით მოტრალი ვარ!..  
ბრიკვი ვარ, ღვინო დავლიო? —  
თანამედროვე ქაღა ვარ!..



„სავალება“. არ

აროვასირნები თავარე



კრო ბეჭედება ვართ, ლოთო, მე და შენ,  
წილად გვარევნებს შევი ღვინო ჩვენ,  
ერთგულად კირუპოთ ნუნეა ჩვენი,  
და პურ-მარილში დავლიოთ დღენი!

მაგიდას სუფრა გადავაფინოთ,  
ზედ მთელი კოჭი გადავაწვინოთ,  
სხვისი ნაფლია ჩვენს ებებს ვაწვიმოთ,  
ჩვენს მოვილხინოთ, სხვაც მოვალხინოთ!

შენ არ გეგონოს, დიდ სუფრაზედა  
სუფრისდედობა არ არის მნელი?! —  
ზედაც არავინ არ შემოხსედას,  
თუ არ იქნები მაგარი მმეღლი!

მე ჯიხვის კანწის დაკურებ თვალით,  
რომ ყველას პირში ჩავასი ძალია,  
ჩემთვის ერთია კაცი და ქალი,  
ვეღილობ, რომ ყველა მკუთხის მოვალე!

შენ პირეტევი ხარ, გადარეველი,  
როცა უზომოდ გაქვს დალეველი!..  
კარების ნაცვლად, კედლებს აწვები,  
ლოგინის ნაცვლად, ლაფში ჩაწვები!

ზეიმობ, როცა შებლი ხერდება,  
მაგრამ მე შენი არ შემშურდება!  
მეც ვსვამ შენსავით, როცა მწყურდება,  
სანამდე ღვინო განადგურდება!

მაშ, რა გაღონება?! აიღვ ხელში, —  
ეგ ჯიხვის ყანწიც ჩაუშვი ყელმი!  
შეუსენებლად უყავ ყლაპვანი,  
რომ იქანო, როგორც აკვანი!

რა ვეყოთ, ძმაო, თუ არ ლოთობდნენ  
ჩვენი სულმანით მამა-პაპანი?!  
ახლა რომ იყენენ, მათაც მოვსთხოვდი, —  
ბოლო მოდაზე სწიონ ჭაპანი!

გვიჯობ, ტყეილად ნუ აქნევ ხელებს.  
მე გადავარდელე, შენ მაღლევნელე!

ილუსტრაციის მ. ღოღარაშვილი



## ბარათები „ნიანგს“

ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარაში, მესამე წელია, არ მუშაობს საბავშვო ბაგა. მისი ეზო შემოუღობავია, ჭერი ჩამონახულია და კედლები წვიმისაგან ლპება!.. ბაგის ეზო პირუტყვების სადგომადაა გადაქცეული. ერთნი ამბობენ, — ბაგა კოლმეურნებას ეკუთვნის და მან უნდა გაუკეთოს რემონტი! მეორენი ამტკიცებენ. — ბაგა კოჩარის ჩაის ფაბრიკისა და ამ საწარმომ უნდა უპატრონოს! ბაგა კი დღემდე უპატრონოდაა მიტოვებული!..

ნუთუ ჩვენი სოფლის პატარებზეც არ ვრცელდება კონბილი ლოზუნები: „პილაფირი საუკეთესო — გავშვებას?..“

\* \* \*

ოპამი ერთერთი ულამაზესი სოფელია. კასპის რაიონში. მისი საბჭოთა მეურნეობაც მოწინავეა რესპუბლიკაში. და რაოდენ დასანანია, რომ სოფლის ახალგაზრდებს არა აქვთ გართობის ელემენტარული პირობები, მონატრული არაან კულტურის სახლს, კინოთ-

ატრის შენობას!.. ძველ კლუბს უკვე კადლები უნდარება, შიგ არ დგას სკამები. წვიმების შედეგად კლუბში გუბურები გაჩნდა!.. ამის შესახებ დაიწერა კიდევ რა რაიონში გა ზე თში, მაგრამ დარჩა ეს დაწერილი „ხმად მღაღალებლის უდაბნოსა შინა“. დაგვეხმარე ოკამელ ახალგაზრდებს, ნიანგო!

— —

გარდაგნის რაიონის სოფელ შინდისის საშუალო სკოლაში წლების მანძილზე გათბობა არ არის. ზამთრობით ბავშვები პალტოებსა და ქურქებში არიან გახვეულნი და მაინც კანკალიერენ!.. განათლების განყოფილება არაერთხელ მიემართეთ თხოვნითა და მუდარით, რათა ჩვენი სკოლის გათბობის საკითხი დაესვა რაიონის ხელმძღვანელობის წინაშე, მაგრამ ჯერჯერობით სიტყვიერი დაპირებებით „გვათბობენ!“ თუ წლევანდელი ზამთრის ამინდები მომალშიაც განმეორდა, ალბათ შინდისის სკოლაში არც ერთი მოსწავლე და მასწავლებელი აღარ ივლის!..

ჩვენს გასაჭირზედაც თქვი შენებური სიტყვა, ძიანიანგო!



ნახ. ჭ. ლოლუასი



თავი საწყობს შეაფარა,  
კირთხასაუით დოდხანს ღრღნოდა,  
გაუგეს და გულდადარას  
მიეთითა!..

მალე ტრესტში მოქალათდა,  
რაც მოახწოო, გამოზიდა,  
მაგრამ „რისხვა“ თავს დაატყედა —  
მიეთითა..

მშენებლობას მიაშერა,  
ცემენტი და ხე-ტყე ყიდა,  
გაუგეს და „შეახურეს“ —  
მიეთითა..

ჩამოინგრა სახლის  
ქურდის ცოდვა ვედარ თიდა,  
„დაისაჯა“ ინჟინერი —  
მიეთითა..

აქ ჩვენ დავსვამთ მრავალწერტილს  
და უნდა ვთქვათ სიტყვა მწველი:  
ზოგიერთის... ზოგიერთი  
თოთი არის მოხაჭრელი!..

მოთა როვა

— რას შვრები, შე კაცო? მაგ თითის ფული უოველდედე უნდა გიხადო?!

# კუნცხარეწილი

ნაბ. 3. ფაჩულიასი



● 383ლი ავტო მანქანა „მერსედეს“ „უიგულზე“ ან „მოსკვიჩისა“ და ერთ ველოსიპედზე. მისა მართი: კომბინატის ქ. № 5. იყითხეთ ავტო (იგივე ავთო) მანქანაძე!

● 383ლი ფიზიკაში მოსამზადებელ ორ აბიტურიენტს ქართულში მოსამზადებელ ერთ აბიტურიენტზე. მისა მართი: ცოდნის ქ. № 2. იყითხეთ ლექტორ (იგივე პოლიქტორ) ცოდნიაშვილი!

● იყიდება კომპლექსურ და თავისუფალ თემებზე დაწერილი ფოტომპარაგალები თემებზე: „ქვრივ პერსონაჟთა სახეები XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში“, „არწივის, ყვავისა და ყორნის სიმბოლოები ქართულ პოეზიაში“, „წყალი წავლენ და წამოვლენ“, „შუშანიკი და დარეჯანი“, „გრიგოლ ხანძთელი და ოტია ქამუშაძე“, „დაღლი — ადამიანის მეგობარი“ და სხვ. შპარგალების ზომა — 4x6 სმ. იყიდება ბითუმად (სულ ცოტა — ათი ცალი), ფასი — მორიგებით. მისა მართი: თალღითაურის ჩინი № 7. იყითხეთ წიგნაძე!

● ქირავდება მყუდრო ოთახი რეპეტიტორებისათვის. ეტევა 12 აბიტურიენტი. დამქირავებელმა უფასოდ უნდა მომიმზადოს ორი ახალგაზრდა. შეიძლება ერთდღოულად (სხვადასხვა საათებში) დაიქირაოს რამდენიმე რეპეტიტორმა. საიდუმლოების დაცვა გარანტირებულია. მისა მართი: ბნელი შესახვევი № 8, იყითხეთ ცნობილაძე!

● 383ლი უმაღლესი სასწავლებლის ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულის წითელ დიპლომს სავაჭრო-ეკონომიკური ტექნიკურის ჩეველებრივ დიპლომზე. მისა მართი: ვაჭროთის ქ № 4. იყითხეთ ლექსო რომანიძე!

● დავშერე კინოს ცენარი. კედებ თანავტორს. სასურველია გავლენიანი პირი. მისა მართი: მრუდე შესახვევი № 10. იყითხეთ მოგელი ცალქალამანიძე!

● გვარიდება მაღაზის მოლარე. უნდა შეეძლოს ფასების დამრგვალება და იცოდეს გამრავლება-გაყოფა. მისა მართი: კომპერაციის ქ. № 230. მაღაზია „ველაფერი — მომხმარებლისათვის!“.

შეკრიბა ბ. ციცებაშვილი



— ამ კაცზე ამბობენ, მაგარი კომბინატორია, უოველდღე  
ერთსა და იმავე კოსტიუმს იცვამს!

## რა მარაზმა მუსიკის გამარჯვება

პაროლი

მე, ქართველი გულხარბიძე,  
საქმოსნების წრეში მძლე ვარ,  
რომ შემეძლოს სახ. ვიდან  
წილის სუფთად ამოწევა,

ხელმეორედ ჩემს „ლევ“ სასწრებს  
შეკვირავდი იმავ ვალებს,  
შეკვირავდი იმავ ახვებს  
ქურდობა რომ დამაბრალეს!..

არ ვუშვებდი ჩემს საწყობთან  
„სტაკინ“ მუქთად გადამყრელებს,  
მე საწყობში არა მძინავს —  
აյ წამგლევად დამაყნეს!

თოხოვ სუკველა ვაი-ქართველს  
(გიგა არ ვარ, აქ რომ ვეღები!),  
მოკვდეს, მაგრამ წრედი შეკრას  
გამოცდილი საქმოსნების!

ვაცო ციცებაძე

# ყავნის ეჭინუობრივი რენეციანი

იმპიდენსი  
გიგანტის განახლება

1985 წ., 11 აპრილი, თბილისი.

**დილიდანი** და ზაფრული ი ვიყავი — ხუთშაბათის რომ ბავშვმა „სამიანი“ არ მოიტანოს სკოლიდან, არ იქნება-მეთქი და ვფიქრობი ავანსად გაბრაზებული: „ოჲ, თუ კიდე ე ვ ურვეულობა მო ი მიზე ზე!..“

რვეულზე გამახსენდა: ერთხელაც ვიყავით საპირველმაისო სამზადის-ში — ცოლი გაყინულსა და გამზადებულ ინდაურს ხელმეორედ პუტავდა, მე გაყინული ხორცისგან ბასტურმას ვამზადებდი და... უეცრად ცხელი წყალი... კაპუტ! შეწყდა! ვეძლდენი ტელეფონს, რას სჩადინართმეთქი?! იქიდან აქეთ მეკითხებიან: ცივი წყალი თუ მოდისო? მოდის კი

არა, მოთქიშინებს-მეთქი! კაი, აბა, ნახევარ საათში ყველაფერი რიგზე იქნებაო! ხა-ხა-ხა! მაშინდელივით მეცინება სიმწრით — ზუსტად ნახევარ საათში ცივი წყალიც შეგვიწყვიტეს!

იყითხავთ ალბათ, სად რვეული და სად ცივი წყალიო? მოგახსენებთ: ჩემს ბავშვობასა და სტუდენტობის ხანაში რვეულს ჩვეულებრივი მრგვალი ახორციელებულია რ ვ ე უ ლ ი. გამოხდა ხანი და აღნიშნული წარწერა ტეტრა და მა შეცვალა!..

ჰოდა, ხანი რომ გამოხდა და მარტო რუსულწარწერიანი რვეულებით აივსო მაღაზიები, იქნებ ვიღაცას ეჩოთირა და იყითხა: რუსულად კი

ბატონი, მაგრამ რატომ ქართულადაც არ გამოდისო?! იქ კი, ალბათ როგორც წყალგანალის სადისპეტჩეროში, გადაწყვიტეს: ესენი, ეტყობა, ცხელის კი არა, არც ცივი წყლის დირსნი არიანო და... უშვებს დაუშვებს ახლა ზუგდიდის ფაბრიკა მოწაფეთათვის რვეულებს რომელთაც არავითარი წარწერა არა არა არა რაენაზე!

სამაგიეროდ, უოველ რვეულში ჩაუდგიათ საშრობი ფურცელი მიუხდევად იმისა, რომ ჩვენში სადღეობრივ კაციშვილი აღარ ხმარობს მელანბ!..

იპოვა გიზო ზარნაძე

ნახ. ი. შეინაშვილისა



შ. შეინაძე

საქოლემიურნეო ბაზრებთან კოლმეურნეებს ჯერ  
კიდევ ხვდებიან ქორვაჭრები და იძენენ მათგან სასოფლო-  
სამეურნეო პროდუქტებს. რათა სპეცულაციურ ფასებში  
გაყიდონ.

ნახ. ა. კანდელაკისა



— ბატონი სიმინ! თქვენ როგორ შეგაწუხებთ?! მოგვი-  
ცით, ჩვენ გაგიყიდით!

## ტრადიცია

- ავის მქმნელის დასასრული მოსამართლის სინდისტი  
უნდა ვეძიოთ.
- კარიერისტები მხოლოდ ექიმებისადმი არიან კეთილად  
განწყობილი, რადგანაც შშირად წევას უჩივიან.
- გლიცენელება და იჩივლა: რა ღროს გამიჩნდა რადიკუ-  
ლიტი, ახალი უფროსი დამინიშნესო!
- კომპინატორება და იტრაბა: ჩემს წარმატებებს ცო-  
ტა წამატებებსაც და ცოტა რევიზორებსაც ვუმაღლო.
- საქონისანა თქვა: ღატაცების მასშტაბების ზრდა კომ-  
ბინაციაში მონაწილეთა რაოდენობაზეა დამოკიდებული.
- ეურდა თქვა: იმდენი ღროც არა მრჩება, რომ საკუთარ  
ჯიბეში ჩავიყო ხელი.

გილი პილი



„გილის, გილხინს, — მე არ ვიცი, მე ამაზე არა  
ვდარდობ!...  
ცოლი მოყვავს! — ბიჭმა მითხრა, — „ქორწილი მსური,  
გადმიხადო!“  
ვუოხარ: „შვილო, გადაგინდი, მხოლოდ რაცვინდ  
მიწოდე, ლუხოსი, არა მაგიდაზე წვეთს ვერ ნახავ, იცოდვ!...  
მაგიდოში ბლომად მოკერი „ბორჯომს“, „ძაუს“,  
ლიმონათს!...  
უეჭველად უნდა დათვრნენ? — წყლით გავიდნენ  
იოლად!“  
ჩემი ბიჭი ჯერ გაცეცხლდა, რალა აღარ მიწოდა,  
ჯიუტს ბოლოს დამეთანხმა, ხელი გამომიწოდა.  
შევეცექი სიის წერას, როგორც წინათ ვიცოდი,  
დავპატიჟე ყველა, ყველა — ძმით, ძმისშეცლით,  
ძმისცოლით!...  
გავაფრთხილე წინასწარევე: „ქორწილი მაქვს უღვინოდ:  
ახალდაქორწინებულ შვილს არაფერი უგინოთ!

გილარდეთ: პურ-მარილი დიდებული მექნება,  
ისეთ ხორავს დაგახვედრებო, მოგივიდეთ ფერება!“  
დავკალ ხარი, დეკეული, მოზვერი და კამეჩი!..  
სანოვავეს ვამზადებდით თხეომეტ დღე და ღამები!

ბოლოს დადგა ხალხის მოხვლის სანეტარო წუთები,  
მეც დავჯექ და მათ ლოდინში დავასვენე მუხლები.  
ამიტანა შიშის გრძნობამ: „აპოუ, არვინ მოვიდა  
და ქორწილი შემეცვალა მწუხარებით, გლოვითა?!

ტყუილად თუ დაგიხარჯე, თანაც მოვკვდი უძილოდ,  
ახეთია, — ჩემთვისა ვთქვა, — ქორწინება უდვინოდ!  
მაგრამ უცებ რასა ვხედავ? — ხალხი მოდის ჯარადა,  
მოდიან და დასხახიან „პო-ვარადა-ვარადა“!

დამილოცეს ქორწილი და კონცეს ნეუე-დედოფალს,  
აზრიანი მათი ლოცვა მთელ სიცოცხლეს ეყიფათ!  
ისე კარგად მოილებინებ, სიტყვაც არვის შეშლია,  
არავის არ ამოხვლია მორალის ბოდვა კელშია.

იყო ცეკვა, სიცერები, შაირი და სიცილი!..  
ვიცი, ყველას დაახსომდა ის ქორწილი, ის ლხინი!  
არ კოფილა არცა ჩხები და არც აყალმაყალი  
დაახსოვდათ მასპინძელიც და იმისი მაყარიც!

მაგიდაზე არა-ლვინის არ კოფილა ხსენებაც,  
ლიმონათს და წვენებს ხვამდნენ, ვის რამდენი ენება!  
კომპოტებით საღლეგრძელოს ჩვეულებრივ ამბობდნენ, —  
ეს არავის არ უკვიდა და ერთმანეთს არ გმობდნენ.

რა აზრი აქვს, საღლეგრძელო რა სასმელით ითქმება?—  
არაფერი! — დამიჯერეთ, უნდა მხოლოდ მიჩვევა!

ვალერიან მოსამილი

7-85

КОДАЧРОЛЬНЫЕ  
ЗАВЕЖАЛЯРИ

ამერიკა-იაპონიის „სავაჭრო თახი“ ფრონტზე არ  
წყდება შეტაკებანი, რომლებიც ხან მიჩუმდება და ხან  
ახალი ძალით იფეოქებს ხოლმე.

გაზეთისაბაზ

ნაბ. 3. ლომიბისა

85-631  
ცამარებული  
ვიზუალური

სატირისა და იურობის  
ჟურნალი „ნიანგი“ №18  
(1630) სერტიფირი, გამო-  
დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი  
ზურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიველი  
(პაულის ბეგებერი მდივანი),  
ჭაბუა ამირეგიბი, ნომადი  
ბართაია, ზორის გურგუ-  
ლია, რევაზ თვარაძე, ქე-  
მალ ლოლუა, ნოდარ მალა-  
ზონია (მხატვარ-რედაქტო-  
რი), ალექსანდრი სამსონია,  
ბეჭან სიხარულიძე (მთავარი  
რედაქტორის მოადგილი),  
ჯანსულ ჩარკვანი, თამაზ  
წიწივაძე, ნაფი ჭუსოთი.

ტექნიკური რედაქტორი  
მიხეილ კუხალაშვილი

კადაეცა ასაწყიბად 21.08.  
85 წ. ხელმისაწვდომია დასა-  
ბეჭდი 30.09. 85 წ. ქა-  
ლალის ზომ 60X90/4  
ფიზ-კური ნაბეჭდი ფურცე-  
ლი 1.25. სააღაუცვო-საგა-  
მომცემლო თაბაზი 1.9, სა-  
ქართველოს კა ცე-ის გა-  
მოცემლობა, ლენინის, 14.  
შევეთა № 1892, ფი 05606-  
ტირივი 143300 ურნალი  
გამოღის თვეში ორჯერ.  
რედაქტაში შემოსული მა-  
სალები ავტორებს არ უბ-  
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.  
თბილისი-8, რუსთაველის  
ვრცელებები № 42.

ტელეფონები: მთავარი  
რედაქტორის — 99-55-54,  
მთ. იუდ. მოაღვილის —  
93-19-42, პ/გ მდივნის —  
93-10-78, მხატვარ-რედაქტორის —  
99-02-38, გან-  
ყოფილბათა გამგების —  
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
მუშავების — 99-02-38,  
მდივანი — მემანქანის —  
99-76-69.

Сатирико - юмористиче-  
ский журнал «НИАН-  
ГИ» (На грузинском  
языке) Тбилиси, пр. Ру-  
ставели № 42. Издатель-  
ство ЦК КП Грузии,  
тиография издательства  
ЦК КП Грузии, Тбили-  
си, улица Ленина № 14.

ფასი 20 ქაბიკი.  
ინდექსი 76137



STOP

ამერიკა-იაპონიის „სავაჭრო თახი“ გზებზე